



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 069/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

გიორგი შალამბერიძე (სტუდენტი)

ფაქტები

ვ. თ.-სა და ზ. თ.-ს შორის შედგა შეთანხმება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე. ამის შემდგომ, ადვოკატ ზ. თ.-ს რჩევით ვ. თ.-მ გაიხმო სარჩელი, რომელიც მანამდე ვ. თ.-ს მიერ შეტანილი იქნა მცხეთის რაიონულ სასამართლოში ზ. თ.-ს საქმეში ჩართვამდე. ხოლო, ზ. თ.-ს წარმომადგენლობით ვ. თ.-ს მიერ შეტანილი იქნა ახალი სარჩელი, რომელზეც სასამართლომ დაადგინა ხარვეზი — ქონების შეფასებისათვის აუცილებელი აუდიტის დასკვნა არ იყო წარმოდგენილი. მოსარჩელის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის საფუძლით სასამართლომ სარჩელი განუხილველად დატოვა. გარდა ამისა, ზ.თ ვ.თ-ს წარმომადგენლობას ახორციელებდა სისხლის სამართლის საქმეშიც. მან განცხადება შეიტანა შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც განემარტა, რომ მსგავს დავაზე გამოძიებას მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურა აწარმოებდა. ადვოკატს მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურიდან მიუვიდა პასუხი, რომლის შესახებაც მან კლიენტს არ აცნობა (ადვოკატის განმარტებით, მათ მიერ არსებული დამაბული ურთიერთობის გამო). ადვოკატთა სიითი ნომრის მიხედვით, ვ.თ არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი. საქმეში სადავო გარემოება იყო ადვოკატის მიერ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის შესახებ კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ფაქტი და ჰონორარის საკითხი - საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატისთვის გადახდილმა თანხამ შეადგინა 860 ლარი, ხოლო ადვოკატ ზ. თ.-ს განმარტებით, მან კლიენტისაგან აიღო 250 ლარი.

პროცესუალური ისტორია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ვ. თ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ზ. თ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ზ. თ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა), აპეკ-ის 8.5 და 8.6 მუხლების საფუძველზე).

სამართლებრივი შეფასება

ზ. თ.-მ, როგორც სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატმა, სამოქალაქო დავებში ვ. თ.-ს ინტერესების დაცვის დროს, დაარღვია შემდეგი ნორმები: ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა) და აპეკ-ის მუხლი 8.5. ეთიკის კომისიის დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სამართლის დარგში სპეციალიზაციის ქონის გარეშე, ადვოკატის მომსახურება კლიენტის კვალიფიციურ მომსახურებად არ ითვლება. ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში, რაც ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის კვალიფიციურად

¹<https://gba.ge/pdf/5e3156414fff2.pdf/069.18%2023.04.2019%20%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D.pdf>

განხორციელების ერთ-ერთი საფუძველია. საჩივრის ავტორი წარმოადგენდა ხანდაზმულ ადამიანს, ცხოვრობდა ქალაქგარეთ, არ ჰქონდა წვდომა საინფორმაციო საშუალებებთან, ხოლო ადვოკატმა არ განუმარტა მისი სპეციალიზაცია და არასათანადო სპეციალიზაციით გამოწვეული რისკები, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ვ.თ.-ს არ ჰქონდა საშუალება გაეაზრებინა მისი ინტერესების დაცვის დროს გარკვეული რისკები და საფრთხეები, რომელიც შესაძლოა ადვოკატის არასათანადო სპეციალიზაციას გამოეწვია. შესაბამისად, ადვოკატმა ზ. თ.-მ დაარღვია კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგებლობის ვალდებულება. ადვოკატმა ზ. თ.-მ ვ.თ.-სთვის პროკურატურისგან მიღებული წერილობითი ინფორმაციის მიუწოდებლობით დაარღვია კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილიც: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“. კლიენტისათვის ინფორმაციის სრულად, დროულად და მისთვის გასაგებ ენაზე მიწოდება ხელს უწყობს ადვოკატის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას. ჰონორარის დაბრუნების სადავო საკითხთან მიმართებით განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ არ დარღვეულა აპეკ-ის 8.15 მუხლი. განხილვის კოლეგიის მიერ ვერ დადგინდა მხარეებს შორის გასაწევი იურიდიული მომსახურების მოცულობა და მომსახურების სანაცვლოდ შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასურის ოდენობა. საჩივრის ავტორმა ადვოკატისგან აღებული ჰონორარის ოდენობის დასამტკიცებლად ეთიკის კომისიაში წარმოადგინა დისკი, რომელზეც ჩაწერილია ადვოკატ ზ. თ.-ს სატელეფონო საუბარი. ვინაიდან ადვოკატი ზ. თ. აღნიშნული სატელეფონო ჩაწერის თაობაზე ინფორმირებული არ იყო, ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენს და განხილვის კოლეგია ვერ დაეყენოდა მას. აღსანიშნავია, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი სხვა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ კლიენტისგან აღებული ჰონორარის ზუსტ ოდენობას.

დასკვნა

განხილვის კომისიამ დაადგინა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ა) ქვეპუნქტის და აპეკ-ის 8.5 და 8.15 მუხლების დარღვევა, ასევე დაადგინა, რომ ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ უკვე ჩადენილია ერთზე მეტი დისციპლინური გადაცდომა და გამომდინარე აქედან, კერძო სარეკომენდაციო ბარათით ვერ მოხდებოდა დისციპლინირების მიზნის მიღწევა. შესაბამისად, ადვოკატის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინირებული სახდელი - გაფრთხილება.²

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2019 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ადვოკატის საჩივარი და მას დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (საქმე Nსსდ-24-19)